დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

_____

<u>27.12.2023წ.</u>

უნივერსიტეტის დებულება

(კონსოლიდირებული)

თბილისი

2023

თავი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დებულება აწესრიგებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, მისი მართვის პრინციპებსა და გადაწყვეტილების მიღების წესებს.
2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი, სახელწოდება, მისამართი

1. უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: შპს ,,საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი".
3. უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა ,,სდასუ".
4. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ბეჭედი, ბლანკი და საბანკო ანგარიში.
5. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N25.
6. უნივერსიტეტი თავისი მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, არსებული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების, და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მისია

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი მრავალპროფილური კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც მიისწრაფვის: განუვითაროს სტუდენტს კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება, რაც ქვეყნის წარმატების და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია; უზრუნველყოს უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად გადასცეს სტუდენტს ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა. მაქსიმალურად მოამზადოს სტუდენტი იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მას მომავალი საქმიანობა; მოახდინოს ყველაზე პერსპექტიული, რეალიზებადი და ინოვაციური პროექტებისა და იდეების სელექცია; აზიაროს ახალგაზრდები

„უნივერსიტეტების დიდი ქარტიით“ განსაზღვრულ თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ეთიკურ ღირებულებებსა და იდეალებს.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზანი

სდასუ-ს მიზანია გლობალური გამოწვევებისა და მზარდი კონკურენციის პირობებში ჩამოყალიბდეს ლიდერ საერთაშორისო სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერად; საზოგადოებას გარანტირებულად შესთავაზოს მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება მისი მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივით; იზრუნოს უნივერსიტეტის ცნობადობის ხარისხის ამაღლებასა და განვითარებაზე ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ხედვა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი 2025 წლისათვის არის აღიარებული მრავალპროფილური ღია აკადემიური სივრცე, რომელიც სწავლების ინოვაციური მეთოდებით, საერთაშორისო სივრცეში აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამებითა და პროექტებით, აქტუალური კვლევებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ღირსეული პოზიცია უკავია ქვეყნის საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობაში.

მუხლი 6. ღირებულებები და პრინციპები

1. აკადემიური თავისუფლება - სდასუ მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას;
2. საქმიანობს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობითა და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით და ქმნის უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარ პირობებს.
3. მუდმივად აფასებს და აუმჯობესებს საკუთარ საქმიანობას და ამკვიდრებს აკადემიურ კულტურას;
4. აცნობიერებს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და ჩართულია სამოქალაქო აქტივობებში.
5. ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლების, სწავლის, სამეცნიერო-აკადემიური კვლევის, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.
6. კორპორატიული განცდა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალურობა, გუნდური მუშაობა და ჰარმონიული ურთიერთობები.

თავი **II**. უნივერსიტეტის მართვა და სტრუქტურა

მუხლი 7. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:
   1.1. რექტორი
   1.2. აკადემიური საბჭო
   1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
   1.4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:
   2.1 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები - ფაკულტეტები:
   2.1.1 მედიცინის;
   2.1.2 სამართლის;
   2.1.3 ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა;
   2.1.4 ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა.
3. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
   1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
   2. პერსონალის მართვის სამსახური;
   3. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური;
   4. საქმისწარმოების სამსახური;
   5. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;
   6. ბიბლიოთეკა;
   7. იურიდიული სამსახური;
   8. საფინანსო სამსახური;
   9. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური;
   10. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი;
   11. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
   12. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;
   13. სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;
   14. მდგრადი განვითარების ინტერდისციპლინარული კვლევების სამსახური.
4. უნივერსიტეტს აქვს ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ცენტრი;
5. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი;
6. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებული ტელე-რადიო მაუწყებელი „სდასუ-TV“ და „სდასუ - RADIO;“
7. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია;
8. კრიმინალისტიკური ლაბორატორია;
9. სტუდენტური თვითმმართველობა;
10. სდასუ-ს მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები თავიანთ

საქმიანობას ახორციელებენ წინამდებარე დებულების და შესაბამისი ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების/მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტების საფუძველზე.

10. უნივერსიტეტის მართვის თითოეული ორგანოს უფლებამოსილება განისაზღვრება კანონმდებლობით, ამ დებულების ნორმებითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი **8.** უნივერსიტეტის რექტორი და მისი უფლებამოსილება

1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.
2. რექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის დამფუძნებელი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით;
3. როგორც შპს-ს დამფუძნებელი, უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები, მათ შორის, უნივერსიტეტის ქონების შესახებ;
4. რექტორი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ ურთიერთობებში, რისთვისაც უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები;
5. რექტორი განახორციელებს უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელობას და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
6. რექტორი მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.
7. რექტორი მართავს დაწესებულებას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;
8. აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;
9. აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას;
10. იღებს გადაწყვეტილებას სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის, მისი გადახდის ფორმებისა და ვადების შესახებ;
11. გამოსცემს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ აქტებს;
12. ადასტურებს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციამინიჭებულ კურსდამთავრებულთათვის დიპლომისა და დანართის გაცემის თაობაზე;
13. ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს;
14. ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნას/გათავისუფლებას, მათთან შრომითი ხელშეკრულებების დადებას, შესრულების მონიტორინგსა და შეწყვეტას, ანაწილებს მოვალეობებს

უნივერსიტეტის პერსონალს შორის, იღებს გადაწყვეტილებას პერსონალის მივლინებაში გაგზავნის, ანაზღაურებადი თუ ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის, სტუდენტების, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინარული პასუხიმსგებლობის დაკისრების შესახებ;

15. ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს. ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარდგენილი დროებითი კომისიების შემადგენლობას;
16. დეკანის წარდგენის საფუძველზე ამტკიცებს ფაკულტეტის დროებით კომისიას ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით და პროგრამის ხელმძღვანელს;
17. აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებს სტუდენტებთან;
18. ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსისმოპოვების/შეჩერების/შეწყვეტის შესახებ;
19. ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს;
20. გამოსცემს ბრძანებას აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებზე;
21. ამოწმებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს;
22. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას საბაკლავრო, სამაგისტრო ნაშრომების თემის დამტკიცებისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
23. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტებით განსაზღვრულ, უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებულ და უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სხვა უფლებამოსილებებს.
24. კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებს;
25. ახორციელებს საერთო კონტროლს საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესრულებაზე;
26. ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის საერთო კონტროლს;
27. ამტკიცებს კოეფიციენტებს, მისაღებ კონტინგენტს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის;
28. რექტორის არყოფნის შემთხვევაში რექტორის ფუნქციებს დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ასრულებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ან რექტორის ბრძანების/გაცემული მინდობილობის საფუძველზე - უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი.
29. წარჩინებული სტუდენტებისთვის ნიშნავს სახელობით სტიპენდიებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
30. ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამის თანამდებობაზე პერსონალს.
31. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. აკადემიური საბჭო და მისი უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი, აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოების მიერ და უნივერსიტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე.
2. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე.
3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ავტონომიას და მეცნიერთა ინტეგრაციას;

ბ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას, იღებს გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე;

გ) აცხადებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსს; ამტკიცებს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამარჯვებულების აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;

დ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, აკადემიური თანამდებობის დაკავების წესსა და პირობებს.

ე) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

ვ) უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისათვის სათანადო პირობების შექმნას;

ზ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაფართოებას;

თ) შეიმუშავებს და/ან ამტკიცებს უნივერსიტეტის დებულებას, შინაგანაწესს, აკადემიური საბჭოს რეგლამენტს, ეთიკის კოდექსს, დოქტორანტურის სტანდარტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, მათი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა აქტებს, სასწავლო პროცესის რეგულირების წესს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;

ი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

კ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ლ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მუშაობის წესი

ა) აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

ბ) აკადემიური საბჭოს მდივანი აკადემიური საბჭოს მიერ აირჩევა აკადემიური საბჭოს შემადგენლობიდან;

გ) აკადემიური საბჭოს მდივნის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს სდასუ-ს რექტორსან აკადემიური საბჭოს არანაკლებ 3 კაციან შემადგენლობას;

დ) აკადემიური საბჭოს მდივანი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას ღია კენჭისყრაზე მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;

ე) აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი;

ვ) აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით; აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კონკრეტული საკითხის გადასაწყეტად, შეიძლება დადგინდეს გადაწყვეტილების მიღების განსხვავებული წესი;

ზ) აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში ხმების რაოდენობა იანგარიშება საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით;

თ) აკადემიური საბჭოს წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან;

ი) აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენაკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

კ) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ან გაუქმების უფლება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 11. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

ა) აკადემიური საბჭოს არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.

ბ) აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა (ფაკულტეტის საბჭოს) მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით.

გ) აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ასარჩევი პირის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ 3 კაციან შემადგენლობას.

დ) არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მას ესწრება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ე) აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში პირი აირჩევა, თუ მას ღია კენჭისყრით მხარს

დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

ვ) აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა მაქსიმუმ 2 წევრი.

ზ) აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

თ) აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 3 წლით.

ი) აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

კ) აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები.

ლ) ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი **12.** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და სამართლებრივი აქტებით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტებითა და მითითებებით.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია:

   ა) ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევების შეფასების წესის შემუშავება;

   ბ) თანამშრომლობა უცხოეთის ქვეყნებისა და მათი უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით;

   გ) სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების ორგანიზება და კოორდინირება;

   დ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;

   ე) უნივერსიტეტის მისიაში დასახული მიზნების განსახორციელებლად საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო წრეებთან, ასოციაციებთან, ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;

   ვ) საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო,

სადოქტორო და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება;

ზ) საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური ტექნიკური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორებისსაფუძველზე;

თ) საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული აკადემიური (მათ შორის საერთაშორისო) ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით;

ი) რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;

კ) საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზისგარე შეფასების განმახორციელებელი უფლებამოსილი დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის რეკომენდაციების შედეგად, უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა საგანამანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ლ) სტუდენტების გამოკითხვის კითხვარების შემუშავების ორგანიზება და კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა;

მ) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვის და გამოკითხვის შედეგების დამუშავების ორგანიზება და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

ნ) სტუდენტთა შეფასებების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით;

ო) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წერილობითი მომართვების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების ადმინისტრაციისთვის;

პ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის - დიპლომის დანართის შევსების წესის შემუშავებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის შედგენისა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;

ჟ) სამეცნიერო კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების,

ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;

რ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისპროცესის ორგანიზება;

ს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების წარდგენა რექტორთან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

ტ) ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შეფასების კითხვარის შემუშავება და გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება;

უ) ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მიზნით ჩასატარებელი გამოკითხვის და გამოკითხვის შედეგების დამუშავების ორგანიზება, შედეგების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურებისათვის, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული ერთეულებისთვის მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;

ფ) სასწავლო პროცესის მართვის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების შემუშავება;

ქ) აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის, მიღებისა და განთავისუფლების წესის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და შემდგომში მათ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითისაქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება;

ღ) სამსახურის მიმდინარე, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება;

ყ) ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარის და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების ორგანიზება;

- შ) სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სემესტრული შეფასება, სტატისტიკური ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ჩ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორისსამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი, ასევე ფუნქციებთან და ამოცანებთან დაკავშირებული კორესპონდენციის, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება, შემოწმება, ინიცირება, შემუშავება და გამოცემა;

ც) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის დებულებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 13. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თავის საქმიანობაში

ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და სხვა მარეგულირებელი აქტებით.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

ა) კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უნივერსიტეტს სახელმწიფო და კერძოსტრუქტურებთან;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრულებებს;

გ) მონაწილეობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მარეგულირებელი აქტების პროექტების შემუშავებაში;

დ) ახდენს სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული თანამშრომლების მუშაობის მონიტორინგს;

ე) აკონტროლებს უნივერსიტეტში შინაგანაწესის დაცვას;

ვ) წარადგენს წინადადებებს თანამშრომლის მიმართ წახალისებისა და დისციპლინურიპასუხისმებლობის ღონისძიებების გატარების შესახებ;

ზ) ახორციელებს რექტორის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს.

მუხლი **14.** უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანთლებლო ერთეული-ფაკულტეტი

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია ფაკულტეტი.
2. ფაკულტეტების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი **15.** ფაკულტეტი

1. ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და შესაბამისი ფაკულტეტის/დებულებით მინიჭებული ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს შესაბამისი მიმართულების/მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას**.**
2. თითოეული ფაკულტეტი მოქმედებს სდასუ-ს დამფუძნებელთა, რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა და აკადემიური ავტონომიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.
3. თითოეული ფაკულტეტი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციებისა და კონვენციების, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სდასუ-ს დებულების, ფაკულტეტის დებულებების საფუძველზე.

მუხლი **16.** ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს

ფაკულტეტის მართვას.

2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრები და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 17 **.** ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა დასაქმიანობის პრიორიტეტებს;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენსუნივერსიტეტის რექტორს;

გ) დეკანის წარდგინებით, შეიმუშავებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

დ) დეკანის წარდგინებით, შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) დეკანის წარდგინებით, შეიმუშავებს ფაკულტეტის, ფაკულტეტის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ან აღიარებულ მეცნიერს საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად;

ზ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 18**.** ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია დეკანი, რომელიც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს და წარმართავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობას.
2. ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 19**.** ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) წარმოადგენს ფაკულტეტს და ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ;

გ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

ე) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;

ვ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

ზ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

თ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორის, აგრეთვე ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

კ) განსაზღვრავს ფაკულტეტის საკომუნიკაციო პოლიტიკას;

ლ) განიხილავს და პასუხობს ფაკულტეტის საბჭოში შემოსულ განცხადებებს, პრეტენზიებსა და საჩივრებს;

მ) ახორციელებს ფაკულტეტზე განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;

ნ) მეთვალყურეობს და ზედამხედველობს ფაკულტეტზე დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებებისშესრულებასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვას;

ო) თვალყურს ადევნებს სტუდენტთა სარეიტინგო მონაცემებს, მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს სტუდენტებთან;

პ) ქმნის საჭირო პირობებს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, აგრეთვე, სტუდენტთა ინდივიდუალური და დამოუკიდებელი სწავლისათვის;

ჟ) პასუხისმგებელია სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება-მოწესრიგებასა და დაცვაზე;რ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. ფაკულტეტის დეკანს საქმიანობაში დახმარებას უწევენ ფაკულტეტის შემადგენლობაში დანიშნული პირები, პროგრამების ხელმძღვანელები და სხვა.

მუხლი 20. დეკანის მოადგილე

1. ფაკულტეტზე განხორციელებადი პროგრამების მრავალფეროვნების, სტუდენტთა დიდი რაოდენობის ან სხვა ობიექტური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტზე ინიშნება დეკანის მოადგილე.
2. დეკანის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი.

3. დეკანის მოადგილე ვალდებულია ფაკულტეტის დეკანისა და რექტორის წინაშე.
4. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ფუნქციები განისაზღვრება დეკანთან და რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 21. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი.
3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარედებულების, დოქტორანტურის სტანდარტის, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებისა და სხვა აქტების შესაბამისად.

მუხლი 22. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

   ა) უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის პროცესის წარმართვა;

   ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია;

   გ) დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების და განაწილების შემოწმება;

   დ) სასწავლო პროცესის მართვის, კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უმაღლესი განათლების პრობლემებზე სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;

   ე) აკადემიური ჯგუფების მეცადინეობების ცხრილების შედგენა;

   ვ) ფაკულტეტების წარმოდგენილი ინფორმაციის (ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება, მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მისაღებად ვაკანტური ადგილების და სხვა საჭირო ინფორმაციის წარდგენა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად და დადგენილ ვადებში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

ზ) უნივერსიტეტში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა მისაღებად სწავლების ყველა საფეხურზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრა;

თ) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ჩარიცხულ პირთა უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემის შემდეგ მისი ასლის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარდგენა;

ი) სწავლების ყველა საფეხურის საკვალიფიკაციო კომისიების დოკუმენტაციის შემოწმება და მომზადება ბრძანებისათვის;

კ) უნივერსიტეტის სტუდენტების მონაცემთა ბაზის შექმნა;

ლ) სასპეციალიზაციო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების პროცესის წარმართვა;

მ) დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცესის წარმართვა;

ნ) უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის თაობაზე რექტორის ერთიან აქტთან ერთად სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი ინფორმაციის მომზადება;

ო) საგამოცდო პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება;

პ) შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე დამკვირვებლების შერჩევისა და განაწილებისორგანიზება;

ჟ) სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება;

რ) სასწავლო მიმართულებით სტუდენტთა განცხადებების განხილვა;

ს) უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან კავშირში საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აფილირებული/აკადემიური/ მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა მობილობის ხელშესაწყობად;

ტ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოება, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რეესტრის წარმოების წესის შესაბამისად.

მუხლი 23. პერსონალის მართვის სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, პერსონალის მართვის სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელების წესებისა და პროცედურების განსაზღვრა;

ბ) პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების პროცედურისა და მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს

აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას;

გ) აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

დ) პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათ შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება;

ე) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის მიღება;

ვ) უნივერსიტეტის სტრატეგიის შესაბამისად პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

ზ) მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვაზე ზრუნვა;

თ) თანამშრომელთა მუშაობის შედეგების შეფასების საფუძველზე შრომის ანაზღაურების სტიმულებისა და წახალისების ფორმების დადგენა;

ი) უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

კ) უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

ლ) პერსონალის მართვის საკითხების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

მ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით საჭირო საშტატო ერთეულების განსაზღვრა.

მუხლი 24. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება, მისი რეალიზაციის ეფექტიანი ფორმების, მექანიზმებისა და საშუალებების გამოყენება;

ბ) უნივერსიტეტის სარეკლამო პოლიტიკის შემუშავება და მართვა;

გ) საზოგადოებაში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების უზრუნველყოფა;

დ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სისტემური განახლება;

ზ) უნივერსიტეტის სკოლების, ტელევიზიის (SDASU TV) საქმიანობის, ასევე აკადემიური პერსონალის პოპულარიზაცია;

ე) უნივერსიტეტის ვებგვერდის (www.sdasu.edu.ge) მართვა და განვითარება;

ვ) უნივერსიტეტის ოფიციალური სოციალური მედია არხების მართვა და განვითარება

- ოფიციალური ფეისბუკის გვერდი: www.facebook.com/universitysdasu/ (საქართველოს დავით აღაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი*სდასუ);

- ოფიციალური youtube-ის არხი;

ზ) უნივერსიტეტის მისიის, სამოქმედო და სტარტეგიული განვითარების გეგმების, ასევე პრეზენტაციების, პრესკონფერენციების ორგანიზება;

თ) უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ბეჭდური და ელექტრონული სარეკლამო მასალების მომზადება;

ი) სტუდენტების, მშობლების, საშუალო სკოლის დირექტორების, კურსდამთავრებულთა და აბიტურიენტთა შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტთან კავშირის დამყარების მიზნით;

კ) სარეკლამო-საცნობარო კამპანიის დაგეგმვა-განხორციელება ქართველი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით;

ლ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის;

მ) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული და გაგზავნილი სტუდენტებისა და პროფესორების მომსახურება;

ნ) უცხოურ ორგანიზაციებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და საინფორმაციო ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

ო) უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთნ და სამეცნიერო და კვლევით ცენტრებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორნდუმის გაფორმების უზრუნველყოფა;

პ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის წლიური სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება-განხორციელება;

ჟ) სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიება და მის განხორციელებაში უნივერსიტეტის ჩართვა;

რ) უცხოელი სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით და მოზიდვა;

ს) მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ტ) პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზება;

უ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, სიმპოზიუმების და სხვა სახის აქტივობების ორგანიზება;

ფ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად სამუშაოების ჩატარება.

მუხლი 25. საქმისწარმოების სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, საქმისწარმოების სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

ბ) შემოსული კორესპონდენციის განხილვა და ადრესატისთვის მისი წარდგენის ორგანიზაცია, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის

კონტროლი;

გ) მოქმედი ნორმატივების შესაბამისად, კორესპონდენციის დადგენილ ვადაში გაფორმების და დოკუმენტების კონტროლზე აყვანის ორგანიზაცია, შემსრულებლებისთვის მათი დროული მიწოდება, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და ანალიზი, შედეგების შესახებ ცნობების განზოგადება და უნივერსიტეტის რექტორის სისტემატური ინფორმირება;

დ) დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა - დაბეჭდვის, ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება;

ე) დიპლომების, დიპლომის დუბლიკატების აღრიცხვა, გაცემის ჟურნალის წარმოება, ფორმების გამოცვლისა და ჩამოწერის პროცესის განხორციელება;

ვ) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის ადმინისტრირება;

ზ) უნივერსიტეტის საქმეთა შენახვისა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიულად გამოყენების უზრუნველყოფა;

თ) უნივერსიტეტის არქივის მუშაობის ორგანიზება;

ი) საქმიანობის წარმართვა საქმისწარმოების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 26. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

   ა) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა და დანერგვა;

   ბ) ახალი სისტემური პროგრამული საშუალებებისა და მათი თანმხლები პროგრამული უზრუნველყოფის ათვისება და დანერგვა;

   გ) სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, დანერგვა და ადმინისტრირება;

   დ) ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების შექმნა და დაცვა, ინტერნეტ-სერვისებით (ვებ-სერვისი, ელექტრონული ფოსტა) მომსახურება, ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება (გაფართოება და მომსახურეობა);

   ე) უნივერსიტეტის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, გაშლა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს აპარატულ უზრუნველყოფას (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა), პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის სერვისებს.

მუხლი 27. ბიბლიოთეკა

1. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, ბიბლიოთეკის დებულების, „საბიბლიოთეკო საქმის

შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.
ბიბლიოთეკის ფუნქციებია:
ა) საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება საუნივერსიტეტო სპეციალობების, საგანმანათლებლო პროგრამების და მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით;
ბ) საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენება;
გ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;
დ) უნივერსიტეტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, კატალოგების, მონაცემთა ბაზების ორგანიზაცია და მართვა;
ვ) პარტნიორ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის ფორმების შემუშვება, დაგეგმვა და განხორციელება;
ზ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობის დაცვა;
თ) ინფორმაციის შეუზღუდავად ელმისაწვდომობა;
ი) უნივერსიტეტის სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო მოთხოვნების საბიბლიოთეკო დოკუმენტებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და მის საფუძველზე ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
კ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება;
ლ) პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა როგორც თანამედროვე წიგნადი ფონდით, ისე ელექტრონულ და ციფრულ მატარებლებზე არსებული რესურსებით;
მ) წიგნადი ფონდის პერიოდული შესწავლა, შემოწმება;
ნ) უნივერსიტეტში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და სადისერტაციო ნაშრომების ფონდის ორგანიზება, დაცვა და ბიბლიოგრაფირება;
ო) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შემუშავება და სამკითხველო დარბაზებშიშესაბამისი საბიბლიოთეკო წესებით მკითხველთა მომსახურება;
პ) წიგნსაცავის და სამკითხველო დარბაზების საბიბლიოთეკო ფონდის დაცვაზე ზრუნვა;
ჟ) ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში აქტიური მონაწილეობა.

მუხლი 28. იურიდიული სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, იურიდიული სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:
   ა) უნივერსიტეტის შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის რეგულირების წესის, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებების (მათი საქმიანობის

მარეგულირებელი სხვა აქტების) შემუშავება/ შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

გ) უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში მოსამზადებელი ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული აქტების პროექტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

დ) უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებული ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

ე) უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ვ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოში;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტისა და სხვა ორგანოთა, ორგანიზაციათა/ დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვა/განხილვაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი პასუხების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ი) უნივერსიტეტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

კ) სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 29. საფინანსო სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, საფინანსო სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენა და შესრულების მონიტორინგი;

ბ) ფინანსური პოლიტიკის განხორციელების პროცედურებისა და წესების შემუშავება;

გ) ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

დ) შესყიდვების განხორციელების ორგანიზაცია;

ე) ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ძირითადი კაპიტალდაბანდებების აღრიცხვის უზრუნველყოფა;

ვ) ქონებისა და საფინანსო ვალდებულებათა ინვენტარიზაციის ჩატარება;

ზ) ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური და ოპერატიული ანალიზი;

თ) უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის, პროცედურების, ნორმების, წესების შემუშავება და განახლება;

ი) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესის წარმართვა;

კ) ფინანსური ანგარიშგების მომზადება;

ლ) გრანტების ხარჯთაღრიცხვების და ანგარიშების მონიტორინგი;

მ) აღრიცხვა-ანგარიშგების განხორციელება;

ნ) ხელფასებისა და სტიპენდიების დარიცხვა და გაცემა;

ო) სალაროს ოპერაციების განხორციელება და აღრიცხვა, სალაროს მოულოდნელი ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციის შედეგების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან;

პ) საბანკო ოპერაციების განხორციელება და აღრიცხვა;

ჟ) ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი საგნების აღრიცხვა, მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, შედეგების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან;

რ) ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა;

ს) უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

ტ) საჭიროების შემთხვევაში, წლის პირველის ნახევრის შედეგებიდან კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის მომზადება;

უ) ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა;

ფ) საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების კვარტალური და წლიური ანალიზი;

ქ) საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა;

ღ) საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით ბიუჯეტთან ანგარიშსწორება;

ყ) შესყიდვების პროცედურების წარმართვა და სხვ.

მუხლი 30. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა;

ბ) ენერგეტიკის, სანტექნიკის, კავშირგაბმულობის და სხვა სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მათი მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე კონტროლი;

დ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო

ინვენტარით, სასაწყობო მეურნეობაზე სისტემატური კონტროლის განხორციელება;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის სათანადო პირობების შექმნა და სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების უზრუნველყოფა;

ვ) სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;

ზ) უნივერსიტეტის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით უზრუნველყოფა;

თ) სანიტარიული კვანძების გამიჯვნა, მათი მუდმივად წყლით მომარაგების, უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით უზრუნველყოფა, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლის დაწესება;

ი) შენობის ყველა სართულზე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის დამონტაჟება, მისი გამოყენების ინსტრუქციის და კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას;

კ) შენობა-ნაგებობის დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი/გასასვლელებით აღჭურვა,რომლის კარიც გაიღება შიგნიდან გარეთ და არ იქნება რკინის;

ლ) სამედიცინო კაბინეტის ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვა, მისი ბუნებრივი წესით განიავებისა და მუდმივად ცხელი და ცივი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა;

მ) უნივერსიტეტის ნაგებობის, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა და დასუფთავება, ნარგავების მოვლა.

მუხლი 31. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით რეგულარული ტრენინგების შეთავაზება სტუდენტებისთვის;

ბ) სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) დამსაქმებელთა და კონკრეტული დარგის ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში;

დ) დასაქმების ინტერნეტსაიტებზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობრივი და

თვისებრივი ანალიზი მოთხოვნადი სპეციალობებისა და კვალიფიკაციების დადგენის მიზნით;

ე) შრომის ბაზრის კვლევის მიზნით სტუდენტებისა და დამსაქმებლების პერიოდული ანკეტირება-გამოკითხვა სხვადასხვა სპეციალობების ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების დადგენის მინიზით;

ვ) შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემების კვლევების განმახორციელებელ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის და თემატურად რელევანტურ ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად;

ზ) თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული კომპონენტის შერწყმით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზართან დაახლოების ხელშეწყობა;

თ) გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, ცოდნის ეკონომიკის ფორმირების, ცოდნის გაზიარების, ახალი იდეეების გენერირების, ხორცშესხმისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის ბაზაზე სტრატაპების, ინკუბატორების და პრე-აქსელატორების შექმნა;

ი) შეზრუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მათი აღრიცხვა და დამსაქმებელთან პრესონალიზებული მიდგომების შემუშავება;

კ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის კავშირურთიერთობის უზრუნველყოფა, მათ შესახებ საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და სისტემატიზაცია;

ლ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მუდმივად ინფორმირება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ მათი პროფესიული ცოდნის შესაბამისად დასაქმების მიზნით;

მ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება საქართველოში მოქმედ სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო კომპანიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ოერგანიზაციებთან;

ნ) სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებთან, კერძო სექტორში ფუნქციონირებად კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება;

ო) დასაქმების ფორუმის პერიოდულად ორგანიზება/მონაწილეობის მიღება და სხვ.;

პ) უნივერსიტეტის სტუდენტთ პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით;

ჟ) კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის იდეის პოპულარიზაცია და უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;

რ) კურსდამთავრებულთა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის

უზრუნველყოფის მიზნით მათთვის სპეციალური პროგრამული/პროფესიული გადამზადების კურსების შეთანაზება;

ს) მოკლევადიანი, ალტერნატიული, მოქნილი და მრავალფეროვანი პროგრამების შემუშავება და დანარგვა;

ტ) უნივერსიტეტის სტუდენტების წარმატებების მიღწევისთვის საჭირო პირობების შექმნა როგორც უნივერსიტეტში სწავლისას, ისე დამთავრების შემდეგ კარიერული წინსლვის უზრუნველსაყოფად.

უ) სამსახურის საქმიანობის ანგარიშგება.

მუხლი 32. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება და მისი პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტ სპორტსმენთა მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა ქვეყანაში გამართულ სხვადასხვა სპორტულ და მაღალი რანგის

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უცხოეთის უნივერსიტეტების სპორტულ ორგანიზაციებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება;

დ) ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა და მათთვის სხვადასხვა მასშტაბისა და ტიპის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა;

ე) ახალგაზრდობის სფეროში კრეატიული პროგრამების მომზადება, მართვა და ორგანიზება;

ვ) სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა საქმიანობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა;

ზ) ახალგაზრდების პრობლემებთან დაკავშირებით კვლევითი საქმიანობის განხორციელება, პრიორიტეტული საკითხების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება;

თ) საერთაშორისო და ადგილობრივი ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვა, განხორციელება;

ი) სტუდენტ ახალგაზრდებში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება და მონაწილეობა;

კ) სტუდენტებში მოხალისეობის ინსტიტუტისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით პროექტების წახალისება და ხელშეწყობა;

ლ) სტუდენტური ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდებისწახალისების პროგრამების შემუშავება;

მ) სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, იძულებით გადაადგილებული, სპეციალური საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ნ) თბილისის მერიის, სხვა უწყებების, უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;

ო) ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარება სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან;

პ) უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვა, ორგანიზება და პოპულარიზაცია;

ჟ) შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება;

რ) სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა;

ს) აქტიური თანამშრომლობა უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, აგრეთვე, შესაბამის არასაუნივერსიტეტო სტრუქტურებთან;

ტ) სპორტული კლუბების შექმნა და სამოყვარულო გუნდების საქმიანობის ხელშეწყობა;

უ) სტუდენტების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე ზრუნვის ხელშეწყობა;

ფ) სტუდენტებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება და სტუდენტული ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ქ) სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, სტუდენტების შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;

ღ) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა, საინიციატივო ჯგუფებისათვის მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების, ახალგაზრდული დღეების, თამაშობებისორგანიზებაში დახმარების აღმოჩენა;

ყ) სტუდენტური კავშირებისათვის, სოციალურად დაუცველი, აგრეთვე სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებით გამორჩეული სტუდენტებისათვის ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონცერტების, ფესტივალების, გამოფენების, ოლიმპიადების, საქველმოქმედო აქციებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობა;

შ) სტუდენტების საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობისათვის და ასევე უცხოელ სტუდენტებთან დამეგობრების ხელშეწყობა და ამ მიზნით

გაცვლითი პროგრამების განხორციელება;

ჩ) სპორტული ტურნირებისთვის სავალდებულო დოკუმენტაციის მომზადება დაგანაცხადის წარდგენა საორგანიზაციო კომიტეტში;

ც) სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 33. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებისა დასხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.
2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში წესრიგის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და სახანძო უსაფრთხოების, აგრეთვე უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში;

ბ) შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმების და წესების დაცვა;

გ) სამუშაო ადგილზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფა;

ბ) უნივერსიტეტის შენობისა და ინვენტარის დაცვა;

გ) ვიზიტორის შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლი;

დ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დაწესებულებაში თავისუფალი ორიენტაციის, გადაადგილებისა და სხვა მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა;

ვ) უსაფრთხოების მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების შესრულება;

ზ) უნივერსიტეტში დაცვისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება და რექტორის ცალკეული დავალებების შესრულება.

მუხლი 34. სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

1. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე:
2. ცენტრის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან ურთიერთობა;

გ) ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, პროექტების მომზადება, წარდგენა და განხორციელება;

დ) უნივერსიტეტის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ე) ყოველი აკადემიური წლის ბოლოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზის განხორციელება აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე;

ვ) საჭიროების შემთხვევაშიპერსონალისთვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;

ზ) სხვა ქართულ და უცხოური ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პატენტების შექმნა უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, დოქტორანტურის სტუდენტთა სტატიების საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველყოფა;

თ) უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა;

ი) უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განვითარების ხელშეწყობა;

კ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაცია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციული მხარდაჭერა, კვლევის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვის კონტროლი;

ლ) კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამების ადმინისტრირება;

მ) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა სემინარის, ტრენინგის, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსის ორგანიზება;

ნ) უცხოურ უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებისა და ცენტრებისმიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა;

ო) უნივერსიტეტის კვლევითი ღონისძიებების წლიური, სამოქმედო და სტრატეგიულიგეგმების შემუშავება;

პ) საუნივერსიტეტო კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები დასხვ.) ორგანიზება;

ჟ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დასკვნების შემუშავება;

რ) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება;

ს) უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვა და პლაგიატისაღმოფხვრის ღონისძიებების დანერგვა;

ტ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურთან ერთად ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირება უნივერსიტეტის სახელით;

უ) უცხოელი მკვლევარების უნივერსიტეტში მოწვევა;

ფ) უწყვეტი განათლების ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

ქ) ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება;

ღ) უნივერსიტეტსა და მის გარეთ უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების მოძიება და შესაბამისი ბაზების შექმნა ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით;

ყ) სამეცნიერო და ინოვაციური კაპიტალის განვითარების უზრუნველსაყოფად აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და დოქტორანტების ჩართვა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში;

შ) კვლევის პრიორიტეტული დარგების იდენტიფიცირება და შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა;

ჩ) ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობა, მემორანდუმების მომზადებაში მონაწილეობა;

ც) საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ინტეგრირების მიზნით სამეცნიერო ფორუმებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში, აგრეთვეერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში აფილირებული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ძ) თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების მომზადებაში მონაწილეობა;

წ) საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობა;

ჭ) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ფარგლებში სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ტრენინგებისა და ვორქშოფების ორგანიზება.

მუხლი 35. მდგრადი განვითარების ინტერდისციპლინარული კვლევების სამსახური

1. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, მდგრადი განვითარების ინტერდისციპლინარული კვლევების სამსახურის დებულებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.
2. სამსახურის ფუქნციებია:

ა) მდგრადი განვითარების მიზნებით განსაზღვრულ მიმართულებებში, ცალკეული საუნივერსიტეტო ფაკულტეტების მონაწილეობით ინტერდისციპლინარული სასწავლო, სამეცნიერო -კვლევითი პროგრამების შედგენისა და განვითარება - სრულყოფის ხელშეწყობა, საგრანტო პროექტების მომზადება - წარდგენის პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია;

ბ) საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო საფეხურების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სირთულეების გათვალისწინებით,

პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ჩართვა მდგრადი განვითარების პრობლემების ინტერდისციპლინარულ კვლევებში და სათანადო უნარ-ჩვევების ფორმირება.

გ) მდგრადი განვითარების ინტერდისციპლინარულ თემატიკაზე ადგილობრივი და საერთაშორისო დონის კონფერენციებისა და სამეცნიერო სემინარების ორგანიზება.

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოურ და ადგილობრივ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ფონდებთან, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან მდგრადი განვითარების პრობლემებზე ერთობლივი სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევებისა და სხვა სახის აქტივობების ორგანიზება და იმპლემენტაცია.

მუხლი 36. ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ინსტიტუტი

1. ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ინსტიტუტის მიზანია მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების), რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების, დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების კლინიკის ბაზით უზრუნველყოფა.
2. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/ კურაციული მეცადინეობების) განხორციელება;

ბ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელება;

გ)დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეულიკურსების/მოდულების განხორციელება;

დ) კლინიკის ბაზაზე უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაბამისი პროგრამების და ტრეინინგების განხორციელება;

ე) სასწავლო-მეთოდოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში ქვეყანაში აღიარებული პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო (სტომატოლოგიური)მომსახურების განხორციელება.

მუხლი 37. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი

1. სდასუ-ს მედიცინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი;
2. ცენტრის მიზანია გამოუმუშავოს მომავალ ექიმებს თანამედროვე სამედიცინო განათლების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული კლინიკური უნარები.
3. სტუდენტებისთვის საბაზისო კლინიკური, გადაუდებელი, სამეანო-გინეკოლოგიური, რეანიმაციული, თერაპიული და ქირურგიული პრაქტიკული

უნარების განვითარების ხელშეწყობა.

4. სდასუ-ს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაღალპროფესიული სამედიცინო კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

მუხლი 38. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია

1. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია ფუნქციონირებს სდასუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე „ტემპუსი"-ს პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, ვესტმინსტერის უნივერსიტეტის თანამონაწილეობით.
2. ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია სტუდენტებს საშუალებას აძლევს:
   ა) სხვადასხვა სასწავლო კურსში ერთდროულად არსებობდეს ასობით მზა ესპერიმენტული მასალა;
   ბ) სხვადასხვა სასწავლო კურსში ჩატარდეს ექსპერიმენტი რეალური ლაბორატორიის გარეშე.

მუხლი 39. კრიმინალისტიკური ლაბორატორია

1. სდასუ-ს სამართლის ფაკულტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს კრიმინალისტიკური ლაბორატორია.
2. კრიმინალისტიკური ლაბორატორია სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს:
   ა) დაეუფლონ კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ხელოვნებას;
   ბ) მოახდინონ კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენა, ამოღება, ფიქსირება და გამოკვლევა;
   გ) ჩაწვდნენ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ადამიანთა სიცოცხლის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და სხვა სახის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის თავისებურებებს.
3. კრიმინალისტიკური კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს გადაეცემათ სერთიფიკატი.

მუხლი 40. უნივერსიტეტის ტელერადიო მაუწყებელი „სდასუ-TV" და „სდასუ - RADIO"

1. საერთო ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობა - „სდასუ-TV" და „სდასუ-RADIO" (შემდგომში - „მაუწყებელი"), დაფუძნებულია და თავის საქმიანობას ახორციელებს „მაუწყებლობის შესახებ", „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. მაუწყებელი წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „სდასუ") ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
3. მაუწყებლის მიზანია:
   ა) საზოგადოებისათვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან

თავისუფალი, მათი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება;

ბ) შექმნილი ტელე-რადიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით ტელე-რადიო მაუწყებლობის დარგში საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება;

გ) სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების ხელშეწყობა.

4. მაუწყებლის ამოცანები და საქმიანობის მიმართულებებია:

ა) ინტერნეტ ტელე-რადიო მაუწყებლობის განხორციელება;

ბ) ტელე-რადიო პროგრამების წარმოება, გახმოვანება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

გ) ტელე-რადიო მაუწყებლობის ქსელის შექმნა;

დ)ტელე-რადიო გადაცემებისათვის ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

ე) მაუწყებლის მიერ გავრცელებული ტელე-რადიო პროდუქციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო, აუდიო-ვიზუალური და კინო პროდუქციის შეძენა, ამ პროდუქციაზე საავტორო, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა უფლებების მოპოვება.

მუხლი 41. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სტუდენტური თვითმმართველობა არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, „სდასუ“-ს სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო.
2. სტუდენტური თვითმმართველობა საკუთარ საქმიანობას ახორციელებს თვითმართველობის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს თვითმართველობის წევრები ხმების უმრავლესობით. სტუდენტური თვითმართველობა მიმართულების განსაზღვრისას თუ ნებისმიერი აქტივობის განხოციელებებისას, სარგებლობს თავისუფლებით უნივერსიტეტის მხრიდან.
3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის მაქსიმალური ჩართულობა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მართვაში;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს თითოეული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მართვისორგანოებთან ურთიერთობაში;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვას, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას;

დ) იზრუნოს სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე.

ე) დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში,განვითარებასა და სრულყოფაში;

ვ) ხელი შეუწყოს ქვეყნის და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციას და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა ჩართულობა;

ზ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტების შემოქმედებითი, სოციალურ-კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებისა და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის;

თ) ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებასა და მათი კულტურებისწარმოჩენას უნივერსიტეტის ფარგლებში;

ი) დაამყაროს ურთიერთობები საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან;

კ) იზრუნოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონის უზენაესობისადმი პატივისცემის ამაღლებაზე.

ლ) შეარჩიოს შესაბამისი წარმომადგენლები ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში - ფაკულტეტის საბჭოში;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართვის შესაბამისი ორგანოებისთვის წარსადგენად შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემის ეფექტინობის და სწავლის ხარისხის ამაღლების მიმართულებით;

ნ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

4. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლების კანდიდატურებს;

გ) წარმოადგენს სტუდენტების ინტერესებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს უნივერსიტეტში წამოჭრილ აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებთან დაკაშირებით;

ე) პერიოდულად სხვადასხვა მეთოდებით ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ვ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;

ზ) ახდენს შესაბამისი შეხვედრების, დებატების, დისკუსიების, ტრენინგების, ინტელექტუალური თამაშების, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო, საქველმოქმედო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას;

თ) თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ი) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის, ან უნივერსიტეტის მართვის სისტემის ოპტიმიზაციის და სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით და განსახილველადწარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

კ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო პროცესთან, მატერიალურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

თავი **III.** უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 42. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში შემოღებულია აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანამდებობები.

მუხლი 43. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისგან, ასოცირებული პროფესორისგან, ასისტენტ-პროფესორისგან და ასისტენტისგან. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
2. პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო–კვლევით მუშაობას.
3. ასოცირებული პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასისტენტ-პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესში.
5. ასისტენტი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფსორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

მუხლი 44. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კონკურსის ჩატარების თარიღი, პირობები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (აკადემიური თანამდებობების ვაკანსიების რაოდენობა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა) განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 45. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს:

   ა) პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ პირობებს; დამატებითი მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე: ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება და საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

   ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება; დამატებითი მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე: ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება და საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

   გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით; დამატებითი მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე: ბოლო 3 წელი კლინიკური გამოცდილება და საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

   გ) ასისტენტის თანამდებებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით. დამატებით მოთხოვნები კლინიკურ მიმართულებაზე: მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში შესაბამისი აღიარების

დოკუმენტის წარმოდგენის პირობით, საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

2. შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავება. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ჩაითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
3. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტებით შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი პირობები.

მუხლი 46. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლა;
   გ) შინაგანაწესით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
   დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 47. აკადემიური პერსონალის უფლებები

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
   ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში;
   ბ) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობადა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
   გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
   დ) განახორციელოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

მუხლი 48. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

1. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
   ა) დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი;
   ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 49. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები და მათი მოადგილეები.

2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო განრიგით გათვალისწინებული, უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.
3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ამ დებულებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი - მოწვეული პერსონალის სახით, სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

თავი IV. სტუდენტი

მუხლი 50. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი ან სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების გასავლელად.
2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით.

მუხლი 51. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტი უფლებამოსილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე დებულების შესაბამისად:

   ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

   ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში და პროფესიულ პრაქტიკაში, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში და შეთავაზებული პირობებით;

   გ) უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა დებულებებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

   დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;

   ე) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტურ თვითმმართველობაში;

   ვ) საქართველოს კანომდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული წესით, ისარგებლოს მობილობის უფლებით და სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების შესაბამის დაწესებულებაში გადატანა;

   ზ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად, სახელმწიფოსგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალურიდახმარება და სხვა სახის შეღავათები;

თ) აირჩიოს სასწავლო პროგრამა, ასევე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული არჩევითი კომპონენტები;
ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
ი) საგანამანთლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში მოახდინოს უნივერსიტეტისადა აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
კ) ისარგებლოს სწავლის საფასურის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეღავათებით;
ლ) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
მ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვისუფლებით;
ნ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
ო) მონაწილეობა მიიღოს მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
პ) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
ჟ) ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებებით.

3. ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.
4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმებით მოპოვებულ მტკიცებულებებს. საბჭო ვალდებულია გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველს წარმოადგენს.
5. სტუდენტს უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
6. უნივერსიტეტი ვალდებულია ყველა სტუდენტისთვის შექმნას ერთნაირი საგანმანათლებლო პირობები. ამ მიზნით მოახდინოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის.
7. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადმინისტრაციის მხრიდან გავრცელებული განცხადების/ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა სტუდენტისათვის.
8. უნივერსიტეტი ვალდებულია მოახდინოს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტების ინტეგრირება, მათი ცნობადობის ამაღლება საქართველოში ცხოვრების საჭირო დეტალებთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ტურების მოწყობა, რელიგიური და ეთნიკური თავისუფლების უზრუნველყოფა, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა და ა.შ.

მუხლი 52. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია:

   ა) დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და სხვა შიდა სამართლებრივი აქტები;

   ბ) მის მიერ არჩეული საგანამანთლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით და რომლის სწავლება სავალდებულოა;

   გ) დროულად და სრულად გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სწავლის საფასური.

2. დაიცვას ეთიკის კოდექსი და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები.
3. სტუდენტის უნივერსიტეტში ქცევის სხვა წესების განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 53. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

   ა) სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერი წარმომადგენელის) განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ (მიზეზის მითითების გარეშე);

   ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

   გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

   დ) უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

   ე) უნივერსიტეტს მიმართ ფინანსური დავალიანება;

   ვ) სემესტრის განმავლობაში სასწავლო კომპონენტში 10 კრედიტზე ნაკლების დაგროვება;

   ზ) სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი ან/და აღმკვეთი ღონისძიების (5 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა) შერჩევა, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის გაგრძელებას.

2. სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

4. ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება ცენტრის სტუდენტურ რეესტრში.

მუხლი 54. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერი წარმომადგენელის) განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა, გარდა კანონმდებლობითგათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;დ) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება;

ე) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისშეუძლებლობა (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ერთი და იგივე

სავალდებულო სასწავლო კურსის / კომპონენტის სამჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება;

ვ) აკადემიური დავალიანება, რომელიც ვერ იქნება დაძლეული საგანმანათლებლო პროგ-რამით სწავლის გაგრძელებისთვის გათვალისწინებულ ვადაში (დამატებით სემესტ- რებში);

ზ) სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების (ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა) ჩადენა;

თ) პირის გარდაცვალება და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით; სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები (პირადი განცხადება, პლაგიატი და სხვა) განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით. დოქტორანტისთვის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

4. ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

თავი **V.** განათლების საფეხურები

მუხლი 55. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები

1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიან (სამკურნალო საქმე/სტომატოლოგია) და დოქტორანტურის საფეხურებზე.
2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:

   ა) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;

   ბ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;

   გ) მესამე საფეხური (დოქტორანტურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.
3. ერთსაფეხურიანი სწავლება ხორციელდება სამედიცინო განათლების პროგრამებზე (სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლება), რომელიც მოიცავს არანაკლებ 360/300 კრედიტს.

თავი **VI.** აკადემიური ხარისხი

მუხლი 56. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. აკადემიურ ხარისხს შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული ანიჭებს პირს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევის და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.
2. განათლების ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ, სდასუ გასცემს სათანადო დიპლომს სტანდარტული დანართით.

თავი **VII.** დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 57. უნივერსიტეტის დებულების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.